ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის სხდომის

ო ქ მ ი N21

სხდომის ჩატარების დრო:
1 მარტი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
ბესიკ ხამაშურიძე, მაგდა კოსტავა, მაია სიმონიძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, კობა გურული.

სულ: 8 წევრი.

არ ესწრებოდნენ: მამუკა რიჟამაძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია.

სულ: 6 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე **ვალერიან სილაგაძე.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი შენგელია,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გია ბასილაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი **ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი,** ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა საღინაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი, N15ა-ს ჩრდილოეთით) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ;
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, შპს „საფეხბურთო კლუბი ქუთაისის მართვეს" (ს/ნ 412727214) 100%-იანი წილის ელექტრონული აუქციონის წესით გასხვისების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მამუკა რიჟამაძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი, N15ა-ს ჩრდილოეთით) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „წარმოდგენილი გვაქვს განკარგულების პროექტი, სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა გადავცეთ ნიკეას II შესახვევში, N15ა-ს ჩრდილოეთით მდებარე 27 766 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთი, საცხოვრისის უკან მდებარე

საკმაოდ დიდი ტერიტორია, განაშენიანების გარეშე, იქ აშენდება ბინები დევნილთათვის, ამ ტერიტორიის სანაცვლოდ თვითმმართველობას საკუთრებაში გადმოეცემა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს შერვაშიძის ქუჩაზე ანუ მოხდება მიწის ნაკვეთების ჩანაცვლება."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მამუკა რიჟამაძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი, N15ა-ს ჩრდილოეთით) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, შპს „საფეხბურთო კლუბი ქუთაისის მართვეს" (ს/ნ 412727214) 100%-იანი წილის ელექტრონული აუქციონის წესით გასხვისების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „მოგეხსენებათ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში აქვს ქალთა ფეხბურთის გუნდი „მართვე", ამ შპს-ს წესდებაში უწერია, რომ უნდა განავითაროს ქალთა ფეხბურთი, არ გააჩნია არც დებიტორული და არც კრედიტორული დავალიანებები, მერიამ გადაწყვიტა შევაფასოთ 100%-იანი წილი და მოვახდინოთ მისი გასხვისება კერძო საკუთრებაში, თქვენი თანხმობის შემთხვევაში."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი ზაქრო მამასახლისი: „არსებობენ დაინტერესებული პირები?“

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „ყველა საფეხბურთო კლუბს, რომელსაც გააჩნია ქალთა საფეხბურთო კლუბიც, უწესდება შეღავათები, როგორც სახელმწიფოდან, ასევე ფეხბურთის ფედერაციიდან, ამასთან, ყველა უმაღლესი ლიგის გუნდს აქვს ვალდებულებაც ასეთი კლუბის ყოლისა, ამიტომ მიიღეს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, დაინტერესება არსებობს, ამ საკითხით დაინტერესებულია „ტორპედო“, „სამგურალი“ და ა.შ. ღირებულება დადგენილია სამხარაულის ბიუროს მიერ დადებული დასკვნის საფუძველზე, 38 000 ლარი, ეს გუნდი მოქმედია, ფინანსდება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტით, სუბსიდია არის დაახლოებით 40 000 ლარამდე, ამ შემთხვევაში ამ კლუბზე პასუხისმგებლობას აიღებს ის საფეხბურთო კლუბი, რომელიც მას აუქციონის წესით იყიდის.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მამუკა რიჟამაძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, შპს „საფეხბურთო კლუბი ქუთაისის მართვეს“ (ს/ნ 412727214) 100%-იანი წილის ელექტრონული აუქციონის წესით გასხვისების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი